დანართი №2

სსიპ კოლეჯ „იბერიაში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თინათინ მეფარიშვილი

წევრები:

ირმა ღარიბაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი „იბერია“

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 212682051

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში ცენტრი) დირექტორის სიპ - განათლების ხარისხი 2026 წლის 4 ივნისის **N667357** ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახროციელა ვიზიტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **"შედუღების"** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების **ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით** სსიპ კოლეჯ "იბერიაში" 2026 წლის 19 ივნისს (ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61).

ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტაცია. ჯგუფის წევრებს შორის გაიმართა შიდა შეხვედრები, დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი და განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები. აღნიშნული დღის წესრიგი წინასწარ გადაეგზავნა დაწესებულებას და ვიზიტიც მისი მიხედვით წარიმართა.
ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესზე, ადამიანურ რესურსებსა და მატერიალურ ბაზაზე პასუხისმგებელ პირებს, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს.
ასევე, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო სივრცეები, პრაქტიკის ბაზები, ბიბლიოთეკა და სხვა მატერიალური რესურსები.

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია გაანალიზა დოკუმენტური მასალის, ვიზუალური დათვალიერების და ინტერვიუების საფუძველზე. ძირითადი მიგნებები ვიზიტის მსვლელობისასაც მიეწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს და სრულად შეჯამდა ვიზიტის დასასრულს.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საუკეთესო გამოცდილება არ გამოვლენილა

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ხარვეზი** (სტანდარტის შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

ხარვეზი არ გამოვლენილა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

დაწესებულებამ წარმოადგინა კოლეჯის „იბერია“ დირექტორის 2026 წლის 13 მაისის **MES 565732** ბრძანებით დამტკიცებული **„შესაბამისობის გეგმა“,** სადაც მითითებულია, რომ ,,შედუღების" საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულება საჭიროებს პროგრამის განაცხადის „დანართ 2“-ში მითითებული აღჭურვილობის შეძენას. მატერიალური რესურსის შეძენის დასრულების ვადად განსაზღვრულია - 2026 წლის 13 ნოემბერი. დაფინანსება განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. განსაზღვრულია შემსრულებელი და შესრულების ინდიკატორები..

აღნიშნულიდან გამომდინარე, **ექსპერტებმა ინდიკატორი 2.2.1.1 შეაფასა როგორც მეტწილი შესაბამისობა.**

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ქვესტანდარტი 2.4.1.1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
რეკომენდებულია, სასწავლო გეგმაში „შედუღების მასალების“ მოდულზე სწავლება მეთხუთმეტე კვირის ნაცვლად დაიწყოს სწავლების პირველი კვირიდან. ასევე, „შედუღების პროცესისთვის მასალების მომზადების“ მოდულის სწავლება 23-ე კვირის ნაცვლად დაიწყოს სწავლების დასაწყისში. ხოლო, „ხელით ელექტრორკალური შედუღების“ მოდულის შესწავლა შესაძლებელია განხორციელდეს მინიმუმ მეხუთე, ან მომდევნო კვირიდან.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულება იზიარებს დასკვნის პროექტში არსებულ გარემოებებს და არგუმენტირებული პოზიცია არ დაუფიქსირებიათ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	შედუღება
პროფესიული განათლების დონე	მე-4
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0715
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 18.05.2026, N 581552 ბრძანება ,,შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას; კოლეჯის პროგრამებზე სწავლის შედეგად მიღებული პროფესიული ცოდნა და უნარები უზრუნველყოფს შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას. ამ პროგრამებს შორის არის ,,შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ყველა დაინტერესებულ პირს სთავაზობს დასაქმებისა და თვითდასაქმების, კარიერის განვითარებისა და თვითრეალიზაციის შესაძლებლობებს. შრომის ბაზრის ანალიზმა იმერეთის რეგიონში აჩვენა, რომ შედუღება იმ პროფესიების ჩამონათვალშია, რომელთა დეფიციტს განიცდიან ლითონის კონსტრუქციების მწარმოებელი საწარმოები და სამშენებლო ობიექტები. რეგიონში წლიდან წლამდე იზრდება ლითონის კონსტრუქციებისაგან შესრულებული შენობა ნაგებობების, სპორტული დარბაზების, სავაჭრო ცენტრების, ხიდების, სხვადასხვა ტიპის ანძების და სარეკონსტრუქციო სამუშაოების რაოდენობა, რაც საჭიროებს კვალიფიციური შემდუღებლების მომსახურებას. ლითონის კონსტრუქციების დასამზადებლად გამოყენებული შეერთების სახეებიდან (მოქლონებით, ქანჩებით და ჭანჭიკებით) დაახლოებით 80% მოდის შედუღებით შეერთებაზე, რაც ნათელს ხდის შემდუღებლის კვალიფიკაციის მქონე მუშახელის საჭიროებას. საგანმანათლებლო დაწესებულების მისიას წარმოადგენს ქართული და საერთაშორისო შრომის ბაზრებისთვის მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება, მათი ინდივიდუალური, პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. კოლეჯი მაღალი ხარისხის განათლების მიწოდებით, სოციალური პასუხიმგებლობის ფარგლებში, საზოგადოებრივ საქმიანობებში ჩართულობით, ხელს უწყობს იმერეთის რეგიონის პროფესიულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას. საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეისწავლა შემდუღებლის პროგრამის განხორციელების საჭიროება რეგიონში, ასევე ქვეყანაში განხორციელებული კვლევები, საიდანაც დგინდება შემდუღებლის კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებზე მოთხოვნა.

სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ გადაწყვეტილება ,,შედუღება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ შეესაბამება კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. აქედან გამომდინარე,

ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 18 მაისის N581552 ბრძანებით. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში დეტალურადაა გაწერილი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა:

- სრული ზოგადი განათლება

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები, ასევე, რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 16 მარტის N312850 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ .

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტთან. აქედან გამომდინარე,

ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისობაშია

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (ბრძ. N19, 28.01.2020, ცვლილება: ბრძ. N241, 11/11/2021). დაწესებულება პროგრამას განახორციელებს A, B და C გარემოში. სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრა შემდეგი მეთოდოლოგიით: A გარემო აღჭურვილია სასწავლო მაგიდებით, სკამებით, დაფით, ინტერნეტის სივრცეში ჩართული კომპიუტერით, საჭიროების შემთხვევაში დემონსტრირების საშუალებით; B გარემო - კომპიუტერული ლაბორატორიაა აღჭურვილი პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად. C გარემო - სასწავლო სახელოსნოს გარემოა. შესაძლებელია სამივე სასწავლო გარემოს გამოყენება ორ ცვლაში. დოკუმენტის შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობის შესაბამისად. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა „შედუღების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულია 30 პროფესიული სტუდენტით. 15 პროფესიული სტუდენტი ერთ ცვლაში.

პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2020 წლის 28 იანვრის ბრძანება N19 ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“. (ცვლილება: ბრძანება N241, 11/11/2021). **აქედან გამომდინარე,**

ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისობაშია

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია როგორც მატერიალური რესურსი, ისე საგანმანათლებლო რესურსი.

სასწავლო გარემო ნაწილობრივ უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით. ხოლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ადამიანური, მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. აქედან გამომდინარე,
ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისობაშია

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
საგანმანათლებლო პროგრამას არჩევითი მოდული აქვს - „ლითონების აირალური შედუღება-ჭრა და პლაზმური ჭრა“, 4 კრედიტის მოცულობით.
ინდიკატორი 2.1.1.5 შესაბამისობაშია

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,შედუღება“ დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2026 წლის 13.05.2026. N562984 ბრძანებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N129/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კოლეჯის ,,იბერია“ წესდებისა“ და კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე, რომლის სარეგისტრაციო ნომერია 07.11.1.
ინდიკატორი 2.1.1.6 შესაბამისობაშია

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
პროგრამის სახელწოდება ,,შედუღება“ შეესაბამება პროგრამის შინაარსს, ეყრდნობა პროგრამის შემადგენელი ნაწილების - მოდულების თემატიკას, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. კურსდამთავრებულს შეუძლია:
1. დაიცვას გარემო და შრომის უსაფრთხოება
2. შეასრულოს სამუშაო შედგენილი ნახაზით
3. შეასრულოს ხელით ელექტრორკალური შედუღება
4. შეასრულოს ნახევრადავტომატური ელექტრორკალური შედუღება აქტიურ (MAG) და ინერტულ (MIG) აირებში
5. შეასრულოს არგონში ვოლფრამის უდნობი ელექტროდით შედუღება
6. შეასრულოს ნახშირბადიანი საკონსტრუქციო ფოლადების შედუღება
7. შეადუღოს ლეგირებული ფოლადები
8. შეადუღოს ფერადი ლითონები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

9. შეადუღოს პლასტმასები
10. შეადუღოს კონსტრუქციები
11. დაამუშაოს ლითონები თერმულად
12. გაარჩიოს შედუღების მასალები და მათი მახასიათებლები
13. მოამზადოს მასალები შედუღების პროცესისთვის
14. გამოიყენოს შედუღების ტექნოლოგია
15. უზრუნველყოს ხარისხი შენადუღ შეერთებაში.

ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისობაშია

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“ მოიცავს - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებას, მიზნებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, მისაღწევი სწავლის შედეგებს, მოცულობას, ხანგრძლივობას, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებას, კვალიფიკაციას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითად დოკუმენტს, ზოგად მოდულებს, პროფესიულ მოდულებს, სასწავლო გეგმას. მოდულების ბლოკში გათვალისწინებულია ქართული ენის მოდული. ქართული ენის მოდულის გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.1.1.8 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საგანმანათლებლო პროგრამის „შედეგება“- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი“.
- კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 18 მაისის N581552 ბრძანება „პროგრამის დამტკიცების შესახებ“.
- კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 16 მარტის N312850 ბრძანება ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ .
- ბრძანება N19 ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“. (ცვლილება: ბრძანება N241, 11/11/2021).
- პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთება
- ვიზუალური დათვალიერება.
- ინტერვიურება.
- სასწავლო გეგმა.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა „შედუღების“ (IV დონე) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულია 30 პროფესიული სტუდენტით, მათ შორის 15 პროფესიული სტუდენტით ერთცვლიანი სწავლების გათვალისწინებით. ვიზიტისას განხორციელდა პროგრამის მატერიალური რესურსის და ინფრასტრუქტურის დათვალიერება. გასაუბრება წარიმართა პროგრამის ხელმძღვანელთან და მოდულების განმახორციელებელ პირებთან. ექსპერტთა მიერ ვიზიტისას ვიზუალურად შემოწმდება A, B და C გარემო.

საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მიერ განსაზღვრულია შემდეგი სასწავლო გარემო:

A გარემო - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, გარემოში განთავსებულია - 15 მაგიდა და სკამი. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განთავსებულია ერთი მაგიდა, სკამი და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი. სასწავლო გარემოში შეკიდულია დაფა. ვიზიტისას ვიზუალურად შემოწმდება აღნიშნული გარემო და მატერიალური რესურსი. A გარემო განთავსებულია კოლეჯის ძირითადი კორპუსის მეორე სართულზე (აუდიტორია N213), ფართი - 33.04 კვ.მ.

B გარემო - გარემო განკუთვნილია კომპიუტერული პროგრამების ასათვისებლად მაქსიმუმ 15 პროფესიულ სტუდენტზე. B გარემო განთავსებულია კოლეჯის ძირითადი კორპუსის მეორე სართულზე (კომპიუტერული ლაბორატორია N201), ფართი - 30.64 კვ.მ.

C გარემო - პრაქტიკის სივრცე (სასწავლო სახელოსნო) ნაწილობრივ არის აღჭურვილი პროგრამით განსაზღვრული მატერიასლური რესურსით. პროგრამის განხორციელების ფორმა არის იმიტირებული სამუშაო გარემო. სახელოსნო განთავსებულია კოლეჯის ძირითად მისამართზე - შედუღების პროგრამის სასწავლო სახელოსნო, ფართი - 72 კვ.მ.

დაწესებულებამ წარმოადგინა კოლეჯის „იბერია“ დირექტორის 2026 წლის 13 მაისის **MES 565732** ბრძანებით დამტკიცებული **„შესაბამისობის გეგმა“,** სადაც მითითებულია, რომ ,,შედუღების" საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულება საჭიროებს პროგრამის განაცხადის „დანართ 2“-ში მითითებული აღჭურვილობის შეძენას. მატერიალური რესურსის შეძენის დასრულების ვადად განსაზღვრულია - 2026 წლის 13 ნოემბერი. დაფინანსება განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. განსაზღვრულია შემსრულებელი და შესრულების ინდიკატორები.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მეტწილად უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, **ექსპერტებმა ინდიკატორი 2.2.1.1 შეაფასა როგორც მეტწილი შესაბამისობა.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა არის - 12. მათ შორის 4 არის პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირი. პირადი საქმეებით დასტურდება მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პირები სწავლებას ახდენენ სხვა პროგრამების ფარგლებშიც. მიუხედავად ამისა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკონტაქტო საათების კვირეული დატვირთვა არ ეწინააღმდეგება ორგანულ კანონს „საქართველოს შრომის კოდექსს“. პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაშია

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტის ფორმა „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ“ მიხედვით განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ განსახორციელებელი მოდულების სახელწოდებები. დაწესებულებას პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული აქვთ წინარე ხელშეკრულებები შრომის კანონმდებლობის პირობების გათვალისწინებით. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ ზოგადი მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ახდენენ პროფესიული განათლების მასწავლებლების დატრენინგებას მუდმივად.

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დადასტურდა მისი პირადი საქმითა და ინტერვიუთი. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია როგორც სწავლების გამოხდილება, ასევე პრაქტიკული მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

პროგრამის მოდულებში განსაზღვრულია სასწავლო რესურსი. ვიზიტისას ექსპერტთა მიერ შემოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა და ხელმისაწვდომლობა. პსდ-მ წარმოადგინა არსებული სასწავლო რესურსი, რომელიც შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტში განსაზღვრულ სასწავლო რესურსთან. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ მოდულებში განსაზღვრული სასწავლო რესურსი სრულად არის კოლეჯის ბიბლიოთეკაში ელექტრონული და ბეჭდური სახით. ბიბლიოთეკარმა ექსპერტებს აჩვენა კომპიუტერში განთავსებული სასწავლო რესურსი.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით, დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისობაშია

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

კოლეჯში ხორციელდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა სწავლება, რაც გულისხმობს დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსის მიწოდებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას. კოლეჯში სსსმ პირების სასწავლო პროცესში ჩართვასთან დაკავშირებული საჭიროებები და მოთხოვნილებები რეგულირდება სსიპ კოლეჯის ,,იბერია" დირექტორის 2021 წლის 26 მარტის N47 ბრძანებით ,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესისა და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ", დაწესებულებაში აღნიშნული რეგულირდება ასევე კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 16 მარტის N312850 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით"სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს უნივერსალური დიზაინის შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების, სსსმპ ასისტენტის და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის (ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა) და სპეციალური მომვლელის ჩართვას. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, ხდება სწავლების განსხვავებული ხერხებისა და სტრატეგიების გამოყენება; სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდების შერჩევა; ისგ-ს საფუძველზე შესაძლებელია სტუდენტისთვის საათების განაწილების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსხვავებული, ინდივიდუალური სქემის დადგენა; საჭიროების შემთხვევაში 16 გამოიყენება დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო რესურსი, მასალა და ნედლეული.

ინდიკატორი 2.2.1.6 შესაბამისობაშია

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

სსიპ კოლეჯ „იბერიას“ 2026 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული აქვს 1314868 ლარის ასიგნება. აღნიშნული ბიუჯეტი გათვლილია შემდეგი მიზნებისთვის:

1. საშტატო განრიგით გათვალისწინებული პერსონალისა და სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში დასაქმებული შტატგარეშე მოსამსახურეების შრომის ანაზღაურებისთვის;
2. ფუნქციონირებისათვის საჭირო აუცილებელი ხარჯებისთვის;
3. სხვა ხარჯების დასაფარად.

პროგრამის განხორციელებისათვის ვაუჩერული დაფინანსება 30 პროფესიულ სტუდენტზე შეადგენს 245070 ლარს. სულ ხარჯი არის 144112 ლარი. კოლეჯს ასევე აქვს ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავალი წელიწადში 168000 ლარი. ბიუჯეტი საკმარისია პედაგოგების ხელფასისთვის, სასწავლო მასალებისთვის, ადმინისტრაციისა და სწავლისათვის საჭირო სხვა აუცილებელი ხარჯებისთვის.

რენტაბელობის ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 9-ით.

ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ინდიკატორი 2.2.1.7 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- შესაბამისობის გეგმა.
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე.
- ვიზუალური დათვალიერება.
- ბიუჯეტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ბიბლიოთეკა:
- კოლეჯის ვებგვერდი:
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმე.
- ინტერვიურება.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის მნიშვნელოვანი კომპონენტია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება, რაც უზრუნველყოფილია ,,საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2020 წლის 7 ივლისის N126 ბრძანებით. აღნიშნული მეთოდოლოგიის მე-5 მუხლი განსაზღვრავს პროგრამების შეფასებისა და განვითარების მექანიზმებს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებულ მხარეებთან, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას - „დაგეგმე-განახორციელე შეამოწმე-განავითარე“ ციკლურ სისტემას. კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი, რომელსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად შიდა მექანიზმების საშუალებით.

2. ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები დაფუძნებულია დაინტერესებული მხარეების: პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, დამსაქმებლების, პროფესიული განათლების მასწავლებლების/განმახორციელებლების, კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე.

3. გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს გაუმჯობესების გეგმას, შესაბამის რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელების ხარისხის ზრუნელყოფის მიზნით და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის.

ინდიკატორი 2.3.1.1 შესაბამისობაშია

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კოლეჯი, საჭიროების შემთხვევაში, სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2020 წლის 7 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ საფუძველზე ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად: 1. პროგრამაში ცვლილებების შეტანა არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე. შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ სტანდარტში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე. 2. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს, ხარისხის სპეციალისტს, პროფესიული განათლების მასწავლებელს, პროგრამის ხელმძღვანელს, პრაქტიკის ინსტრუქტორს კოლეჯის დირექტორისადმი წარდგენილი წერილობითი არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე. 3. . მოდულის ან მისი ნაწილის შეცვლის, მოდულის დამატების ან ამოღების შემთხვევაში კოლეჯის დირექტორის მიერ გამოიცემა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. 4. პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში, შესაბამის სამართლებრივ აქტში განისაზღვრება პროგრამის შესაბამისი მიღების ჯგუფები, რომლებზეც სამართლებრივი ან ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე გავრცელდება აღნიშნული ცვლილება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.3.1.2 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2020 წლის 7 ივლისის N126 ბრძანება ,,საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“, გვ. მე-10
შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სასწავლო გეგმა ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 15 პროფესიულ მოდულს ჯამური 72 კრედიტის მოცულობით, 4 ზოგად მოდულს ჯამური 11 კრედიტის მოცულობით და 1 არჩევით ბლოკს 4 კრედიტით. სულ 87 კრედიტი ქართულენოვანი სტუდენტებისთვის, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 117 კრედიტი. მოდულებს დაშვების წინაპირობა არ გააჩნია.
სასწავლო გეგმაში „შედუღების მასალების“ მოდულზე სწავლება იწყება მეთხუთმეტე კვირიდან. ასევე, „შედუღების პროცესისთვის მასალების მომზადების“ მოდულის სწავლება იწყება 23-ე კვირიდან. მიზანშეწონილია, ლოგიკურობიდან გამომდინარე, აღნიშნული მოდულების სწავლება დაიწყოს პირველივე კვირიდან. ხოლო, „ხელით ელექტრორკალური შედუღების“ მოდულის შესწავლა შესაძლებელია განხორციელდეს მინიმუმ მეხუთე, ან მომდევნო კვირიდან.

საკითხთან დაკავშირებით, ექსპერტთა მხრიდან გაიწერა რეკომენდაცია:
რეკომენდებულია, ლოგიკურობიდან გამომდინარე, სასწავლო გეგმაში „შედუღების მასალების“ მოდულზე სწავლება მეთხუთმეტე კვირის ნაცვლად დაიწყოს სწავლების პირველი კვირიდან. ასევე, „შედუღების პროცესისთვის მასალების მომზადების“ მოდულის სწავლება 23-ე კვირის ნაცვლად დაიწყოს სწავლების დასაწყისში. ხოლო, „ხელით ელექტრორკალური შედუღების“ მოდულის შესწავლა შესაძლებელია განხორციელდეს მინიმუმ მეხუთე, ან მომდევნო კვირიდან.
ექსპერტთა შეფასებით, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.
ინდიკატორი 2.4.1.1 შესაბამისობაშია

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 16 მარტის N312850 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისა და კონსულტაციის გაწევის, განმეორებითი შეფასების, შეფასების გასაჩივრების წესი; პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისთვის. კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში არეგულირებს მეცადინეობათა განხორციელების განრიგს. ასევე განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების, კვალიფიკაციის მინიჭების და პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის პროცედურები.
ინდიკატორი 2.4.1.2 შესაბამისობაშია

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
კოლეჯის მიერ ,,შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით, რაც დასტურდება მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.4.1.3 შესაბამისობაშია

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. კოლეჯს გაწერილი აქვს მარეგულირებელ დოკუმენტებში სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებდან გამომდინარე განსახორციელებელი მექანიზმების შესახებ.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

ინდიკატორი 2.4.1.4 შესაბამისობაშია

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს საწარმოო პრაქტიკას. პროგრამის განხორციელების ფორმა არის იმიტირებული სამუშაო გარემო. შესაბამისად, სწავლება განხორციელდება სრულად კოლეჯის ბაზაზე.

დაწესებულებამ წარმოადგინა მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ კომპანია შპს ,,საქმილსადმშენთან“ და შპს ,,დაგი+“-თან. დოკუმენტებში გაწერილია, რომ პარტნიორი კომპანიები ხელს შეუწყობენ კურსდამთავრებულთა დასაქმებას.

ინდიკატორი 2.4.1.5 შესაბამისობაშია

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით; კოლეჯი პასუხისმგებელია უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს უზრუნველყოფაზე შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის, სახანძრო უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტისა და შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დაცვით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედეგების“ თეორიული კომპონენტი ხორციელდება კოლეჯში, ხოლო პრაქტიკული კომპონენტი კოლეჯის ტერიტორიაზე ცალკე მდებარე სახელოსნოში. დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო გარემო, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. კოლეჯს შემუშავებული აქვს უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები, ჰყავს უსაფრთხოების სპეციალისტი. კოლეჯის ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები. ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას პროფესიულ სტუდენტებს ჩაუტარდება უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი სწავლის შედეგების შესაბამისად. მოწყობილია უსაფრთხოების მანიშნებლები, გამოკრულია შესაბამისი ინსტრუქციები. გარემო აღჭურვილია სახანძრო უსაფრთხოების ინვენტარით - ცეცხლმაქრებით, კვამლის დეტექტორებით და სხვ. კოლეჯში მოქმედებს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.4.1.6 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- სასწავლო გეგმა.
- ვიზუალური დათვალიერება.
- ინტერვიურება.
- მემორანდუმები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

2026 წლის 02 აპრილის N397836 ბრძანებით დამტკიცებული ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ თანახმად პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას; პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი/ობიექტური. შეფასების სისტემა ვალიდურია, რადგან გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით. შეფასების სისტემა სანდოა, რაც გამყარებულია განხორციელებული შეფასების შედეგები სათანადო მტკიცებულებებით. შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, რადგან შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისთვის. შეფასების სისტემა სამართლიანია, რასაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის იმგვარად ორგანიზებულობა (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები), რომ შესაფასებელ პირს მიეცეს საშუალება, დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები. ასევე შეფასებისას ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირ პირობებში არის ჩაყენებული, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ობიექტურობას.

ინდიკატორი 2.4.2.1 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

2026 წლის 02 აპრილის N397836 ბრძანებით დამტკიცებული ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების" თანახმად პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმებს. შეფასება შესაფასებელი პირის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ფლობის დადასტურების პროცესია. მნიშვნელობა არ აქვს, სად ხდება შეფასება, ან რა ფორმით არის ის წარმოდგენილი, შეფასება ყოველთვის მოიცავს პროცესზე დაკვირვებას, შედეგის (პროდუქტის) შეფასებას და გამოკითხვას. შეფასების პროცესში შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შემოწმება არის მექანიზმი იმის შესაფასებლად, ხორციელდება თუ არა პროფესიული სტუდენტის შეფასება მოდულის ჩანაწერების მიხედვით, მოწმდება მიღებული გადაწყვეტილებების სისწორე და გაკეთებული შეფასებების ობიექტურობა. ამ მიზნით ყოველწლიურად, წლის დასაწყისში დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით მტკიცდება ვერიფიკაციის გეგმა და ვერიფიკაციის ჯგუფი. ჯგუფს საერთო ხელმძღვანელობას უწევს ხარისხის მართვის მენეჯერი.

ვერიფიკაციის ჯგუფში შედიან ადმინისტრაციის წარმომადგენლები, დარგის მასწავლებლები და სპეციალისტები. ჯგუფის წევრები ვალდებული არიან წელიწადში ერთხელ წარუდგინონ დასკვნა ვერიფიკაციის პროცესის ხელმძღვანელს მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში შევიდეს გეგმაში ცვლილება. დარგის სპეციალისტი, რომელმაც შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში მიიღო მონაწილეობა, ვერ შეამოწმებს იგივე ინსტრუმენტს. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება:

- ✓ შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია/ვერიფიკაცია;
- ✓ პროცესის ვერიფიკაცია;
- ✓ მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის პროცესში ჩართული პირების ფუნქციებია:
- ✓ ხარისხის მართვის მენეჯერი - ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს;
- ✓ სასწავლო პროცესის მენეჯერი - ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში, ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან შესაბამისობის ტექნიკურ მხარეს და ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას პროგრამის ხელმძღვანელთან/დარგის სპეციალისტთან ერთად;
- ✓ პროგრამის ხელმძღვანელი/დარგის სპეციალისტი - ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში, ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას სასწავლო პროცესის მენეჯერთან ერთად, ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან შესაბამისობის შინაარსობრივ მხარეს და უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას და ობიექტურობას;
- ✓ სასწავლო პროცესის მენეჯერი - უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას და ობიექტურობას;
- ✓ საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი - უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას და ობიექტურობას;
- ✓ დუალური პროგრამების კოორდინატორი (სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი) - უზრუნველყოფს სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალის როგორც შეფასების მტკიცებულების შესწავლას.

შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია ხორციელდება შემდეგნაირად:

1. შეფასების პროცესამდე მინიმუმ ორი კვირით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს - დამტკიცებული ფორმის შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შეფასების ინსტრუმენტის წარმოდგენის შემდეგ ვალიდაციას აკეთებენ სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი და პროგრამის ხელმძღვანელი. სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი ახორციელებენ შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური და პროგრამის ხელმძღვანელი - შინაარსობრივი მხარის შემოწმებას;

3. ხარვეზების შემთხვევაში, შეფასების ინსტრუმენტი უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს რეკომენდაციებით/შენიშვნებით/მითითებე ბით, რომელიც ვალდებულია ორი სამუშაო დღის ვადაში წარადგინოს შესწორებული სახით;

4. შეთანხმებული შეფასების ინსტრუმენტი წარწერით „შეთანხმებულია დარგის სპეციალისტთან“ გამოიყენება პროფესიულ სტუდენტების შეფასების მიზნებისათვის.შეფასების პროცესზე დაკვირვება ხორციელდება, რათა შეფასდეს შეფასების პროცესის გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა. შეფასების პროცესზე დაკვირვებას ახორციელებენ შერჩევითად, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და/ან პროგრამის ხელმძღვანელები. შეფასების შემდეგ, წერილობითი ან/და პრაქტიკული დავალების ფარგლებში შექმნილი პროდუქტი, ხოლო პროცესზე დაკვირვების, ზეპირი გამოკითხვის, პრაქტიკული დავალების, ტესტის შეფასების ფურცელი წარმოდგენილი უნდა იყოს დამტკიცებული ფორმის შესაბამისად და ინახებოდეს ჯგუფის საერთო პორტფოლიოში. პროფესიული სტუდენტებისათვის შეფასების შედეგები ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულ ვადებში. შეფასების შედეგის გაცნობას პროფესიული სტუდენტი ადასტურებს შეფასების მტკიცებულებაზე ხელმოწერით. თუ პროფესიული სტუდენტი ვერ იღებს ინფორმაციას პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, აღნიშნულ ინფორმაციას შეფასების უწყისზე დაყრდნობით, გასცემს სასწავლო პროცესის მენეჯერი. ვერიფიკაციისას არ განიხილება ყველა პროფესიული სტუდენტის მტკიცებულება, თუმცა ხდება საკმარისი რაოდენობის ნამუშევრების შერჩევა იმისთვის, რომ მოდულის ფარგლებში დადგინდეს, რამდენად ობიექტურია პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება და რამდენად იცავს ის სტანდარტს. შერჩევის რაოდენობაზე გავლენას ახდენს რისკ ფაქტორები. შესაბამისად, რისკ-ფაქტორების ანალიზმა შეიძლება განაპირობოს შერჩევის ზომის ზრდა. რისკ-ფაქტორებია:

- ✓ დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- ✓ ოლეჯის ახალი პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- ✓ მოდულში პრაქტიკული დავალებების სიმრავლე (3 და მეტი);
- ✓ ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 5 და მეტი სწავლის შედეგი;
- ✓ ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 3-4 სწავლის შედეგი;
- ✓ ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 1-2 სწავლის შედეგი;
- ✓ კოლეჯში მუშაობის რამდენიმეწლიანი (5 წლამდე) გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი;

ვერიფიკატორის მიერ მუშავდება ვერიფიკაციის დასკვნა, რომელშიც ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო ან არ იყო პროფესიული სტუდენტის შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. ვერიფიკაციის დასკვნა და შედეგების განხილვა ვერიფიკატორების მიერ შემუშავებული დასკვნების განხილვა ხორციელდება ჩართულ მხარეებთან, რომლებიც ერთობლივად მუშაობენ პრობლემების აღმოფხვრის გზებზე და ახორციელებენ შემდგომ ნაბიჯებს შეფასების სისტემის განვითარების მიზნით. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია იდენტიფიცირებული შეუსაბამობა გაიწეროს სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ აქტივობად, ან უშუალოდ იდენტიფიცირებული შეუსაბამობიდან გამომდინარე, ცალკე შემუშავდეს გაუმჯობესების უზრუნველყოფის გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვერიფიკატორების დასკვნების განხილვის შემდეგ, ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ მუშავდება ერთიანი ვერიფიკაციის ანგარიში, რომელიც წარედგინება დირექტორს.

ინდიკატორი 2.4.2.2 შესაბამისობაშია

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებებ ის სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; კოლეჯი, დირექტორის 2026 წლის 16 მარტის N312850 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ თანახმად, უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას.

ინდიკატორი 2.4.2.3 შესაბამისობაშია

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისთვის. კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 16 მარტის N312850 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ და 2026 წლის 02 აპრილის N397836 ბრძანებით დამტკიცებული ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით“. პროფესიული სტუდენტის შეფასება მის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ფლობის დადასტურების პროცესია, რომელიც აკონტროლებს სტუდენტის განვითარების დინამიკას და ეხმარება უკუკავშირის მიწოდების გზით. პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგი ფორმდება შეფასების უწყისით და ეცნობება თითოეულ პროფესიულ სტუდენტს ინდივიდუალურად ელექტრონული ფოსტის მეშვეობით/ზეპირი გზით. შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შემოწმება არის მექანიზმი იმის შესაფასებლად, ხორციელდება თუ არა პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეფასება სტანდარტის მიხედვით, მოწმდება მიღებული გადაწყვეტილებების სისწორე და გაკეთებული შეფასებების ობიექტურობა. შეფასების შედეგების საფუძველზე საგანმანათლებლო რესურსების ცვლილების შესახებ. ხარისხის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ერთად ახორციელებს სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ანალიზს, გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შეიმუშავებს გაუმჯობესების გეგმას პროგრამის განვითარების, მოდულების რიგითობის შეცვლის, სასწავლო გეგმის კორექტირების, სწავლების მეთოდების, შეფასების ინსტრუმენტის,საგანმანათლებლო რესურსების ცვლილების შესახებ.

ინდიკატორი 2.4.2.3 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 02 აპრილის N397836 ბრძანებით დამტკიცებული ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“
- კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 16 მარტის N312850 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

3.08.2026

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: